პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

შაბათი, 11 ივნისი, 1988 ● № 24 (3052) ● СУББОТА, 11 ИЮНЯ 1988 г.

# ერთი წლის ზღურბლზე

## ანუ ზოგიერთი პრობლემის შესახებ

ივნისში ჩვენს რედაქციას „საიუბილეო" თარიღი — 1 წელი უსრულდება.

დიახ, ერთი წელია, რაც კვლავ გამოდის რესპუბლიკის შს სამინისტროს ბეჭდვითი ორგანო „მებრძოლი გუშაგი". სტაჟიან მკითხველებს ალბათ ახსოვთ 60-იანი წლების გაზეთი, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა და არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სხვა გამოცემებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ერთ ხანს გაზეთმა ისევ შეწყვიტა თავისი არსებობა, იმედი ვერ გაამართლა და დაიხურა.

ამიტომ, ახლადჩამოყალიბებული რედაქციის კოლექტივს კარგად ესმის, რომ დღეს თანამედროვე მოთხოვნების — გარდაქმნის, დაჩქარების, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში ორმაგი პასუხისმგებლობის წინაშე აღმოვჩნდით. რედაქციას განზრახული აქვს თავისი საქმიანობით დადგეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის, ახალი თანამშრომლის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე.

„გაზეთი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ავტორიტეტული ორგანო უნდა გახდეს" — ვწერდით აღდგენილი გაზეთის პირველი ნომრის მოწინავეში. მას შემდეგ თერთმეტი თვე გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არც თუ ისე დიდი დროა გაზეთის საბოლოო სახის ჩამოსაყალიბებლად, რედაქციის კოლექტივი ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს გარდაქმნისათვის ბრძოლაში. ჩვენს ახლადჩამოყალიბებულ კოლექტივს დაძაბული შრომა სჭირდება გაზეთის ოპერატიულობის, კომპეტენტურობისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად. ეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ამ საქმეში სამინისტროს ყველა სამსახური უნდა გვიწყობდეს ხელს, უფრო სწორად კი გაზეთის შესაძლებლობათა აქტიური გამოყენებით უფრო ეფექტიანად უნდა წარმართონ თავიანთივე საქმიანობა.

რა გვიჩვენა განვლილმა ერთმა წელმა?

საჯაროობის ესოდენი გაქანების პირობებში, რიგ შემთხვევაში წავაწყდით გულგრილობის, ბიუროკრატიზმის მაგალითებს. რა თქმა უნდა, ამაში ბრალი რედაქციის კოლექტივსაც ედება, საჭიროა მეტი პრინციპულობის გამოჩენა, მაგრამ ისიც ყველასთვის ნათელია, რომ საერთო საქმეს საერთო ძალისხმევა ესაჭიროება. გაზეთი ობიექტური, ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების მთავარი წყარო და მაორგანიზებელი ორგანო იმ შემთხვევაში იქნება, თუ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა რგოლი სათანადო დაინტერესებას გამოიჩენს საკუთარი მუშაობის გარდაქმნის გაშუქების საქმეში. რა თქმა უნდა, თუ ასეთი პროცესი მათ საქმიანობაშიც მიმდინარეობს. გაზეთის ინფორმირება ყველასთვის სავალდებულო უნდა გახდეს, ამას მოითხოვს საჯაროობის თანამედროვე მოთხოვნები, ჯერჯერობით კი ხშირია შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვანი ოპერატიული ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების შესახებ რედაქციას არავინ ატყობინებს, ისედაც მცირერიცხოვან კოლექტივს, თავად უხდება ამ სახის ინფორმაციის „მოპოვება". ამ მიზეზით მნიშვნელოვანი ღონისძიებების ნაწილი დაგვიანებით, ან კიდევ, საერთოდ არ შუქდება.

ძირითადი მიზეზი? — თურმე ნუ იტყვით, მავანს და მავანს, სამინისტროს გაზეთი და მისი თანამშრომლები, თავისი სტატუსით, მოვალეობით და უფლებებით, სხვადასხვა ინფორმაციის შესაგროვებლად „კარდაკარ მოსიარულეთა" მოვალეობის შემსრულებლები ჰგონიათ, მაშინ, როდესაც სულ „სხვა თვალით" უყურებენ რესპუბლიკურ და საქალაქო გაზეთებს — მოსაწვევს მოსაწვევზე, მასალას მასალაზე აწვდიან...

მინდა დავარწმუნო მკითხველი, რომ საყურადღებო მასალა, რომელიც არცთუ ისე იშვიათად გამოჩნდება ხოლმე რესპუბლიკურ და საქალაქო პრესის ფურცლებზე, ჩვენს გაზეთში უფრო ობიექტურად და კომპეტენტურად აისახება. მაგრამ ავტორებს, ეტყობა პრესტიჟულობა ხიბლავთ, ცხადია ეს ასეცაა, საამაყოა, როდესაც შენს საქმიანობას მთელ რესპუბლიკას აცნობ, მაგრამ სხვა გაზეთებისათვის მასალების მიწოდება, შენივე სამინისტროს საუწყებო გაზეთთან აქტიურ თანამშრომლობას ხომ არ უნდა უშლიდეს ხელს. ეს ცალმხრივობა ხომ არ მიგვანიშნებს ამბიციურობაზე? საკუთარი გაზეთის უგულვებელყოფაზე? მით უმეტეს უნდა მივილოთ მხედველობაში, რომ ერთი და იგივე ფაქტს, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი გაზეთი სხვა დატვირთვას მისცემს, სხვა კუთხით გააშუქებს... და მიუხედავად ამისა, სამინისტროს მთელი რიგი სამსახურებიდან და საქალაქო თუ რაიონული განყოფილებებიდან იშვიათად ან საერთოდ არ ვღებულობთ ინფორმაციებს, ისიც ჩვენს მიერ არაერთგზის შეხსენების შემდეგ, გაზეთის იშვიათი „სტუმრები" არიან საგამოძიებო, სოცსაკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოების, თბილისის შს სამმართველოს, ზუგდიდის, ხაშურის, ლაგოდეხის, ახალციხის, ახალქალაქის, ტყვარჩელის, წითელწყაროს, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ახმეტის, კასპის, ონის, თეთრიწყაროს და სხვა შს განყოფილებები, სამწუხაროდ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიგყვანდა.

რედაქციასთან სისტემატურად თანამშრომლობენ პოლიტიკური განყოფილების, საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების, კადრების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოების ხელმძღვანელები და თანამშრომლები, ცხინვალელი, ბათუმელი, სოხუმელი, ქუთაისელი, რუსთაველი, გორელი, თელაველი, ვანელი, გარდაბნელი კოლეგები, რისთვისაც გულწრფელი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მათ.

ნაკლებად ვღებულობთ ოპერატიული ხასიათის მასალებს პარტიულ და კომკავშირულ ცხოვრებაზე, პროპაგანდისტთა, ინდივიდუალურ-აღმზრდელობით და სადამრიგებლო მუშაობაზე, მოწინავე გამოცდილებაზე. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ბევრს არ სურს თავისი საქმიანობის სამინისტროს გაზეთის მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანა. აღნიშნული გარკვეულწილად დასახელებული შს განყოფილებების ხელმძღვანელების, პოლიტმუშაკების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პოზიციაზეც მეტყველებს. ვფიქრობთ, რესპუბლიკის შს სამინისტროს ბეჭდვითი ორგანოს ფურცლებზე გამოთქმული კრიტიკის უპასუხოდ დატოვებაც ამასვე მიანიშნებს, სიტყვათა „თამაში" რომ მოვიშველიოთ — უპასუხისმგებლობაზე. და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის სხვა საინფორმაციო საშუალებების მცირედი შენიშვნაც კი მაშინვე „აამოძრავებს" ხოლმე მათ. არადა „მებრძოლ გუშაგში" გამოთქმულ კრიტიკას მუდმივი პირდაპირი ადრესატი ჰყავს — შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია.

რედაქციასაც ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია რედაქციის თანამშრომელთა ოპერატიულად მივლინების საკითხი, თუმცა მას გააჩნია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები (ტრანსპორტის უქონლობა, რედაქტორის გარდა ყველა თანამშრომელი შს ორგანოებში ახალი მიღებულია, ჯერ ისევ გადაუწყვეტელია ორგანიზაციული და საკადრო საკითხები).

სამწუხაროდ, სამინისტროს გაზეთისადმი ასეთი დამოკიდებულების სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება. დღევანდელი პუბლიკაციით შევეცადეთ ეს საკითხები მხოლოდ ზოგადად გვეჩვენებინა (უფრო ზუსტი ადრესატების მითითების გარეშე), რადგან ვფიქრობთ, რომ თერთმეტი თვე არაა ის ვადა, შეთანხმებული საქმიანობის საბოლოო აწყობას რომ ყოფნიდეს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. აქტიური პოზიცია და ოპერატიულობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გაზეთის ძალას, მის ქმედითობას, ამას კი ერთიანი ძალებით უნდა ვცდილობდეთ.

# НАГРАЖДЕНИЯ

**Приказом министра внутренних дел Грузинской ССР нагрудным знаком «За отличную службу в МВД» награждены:**

— майор милиции **Имедашвили Мераб Несторович** — начальник отделения дежурной службы, он же начальник дежурной части организационно - инспекторского отдела МВД ГССР;

— старший лейтенант милиции **Канделаки Кукури Михайлович** — инспектор по административной практике отделения ГАИ отдела внутренних дел райисполкома им. 26 комиссаров г. Тбилиси;

— майор милиции **Кунчулия Тамаз Михайлович** — заместитель начальника отдела внутренних дел Ланчхутского райисполкома;

— старший лейтенант милиции **Марсагишвили Роман Иванович** — госавтоинспектор ОВД Казбегского райисполкома;

— майор милиции **Мгебришвили Теймураз Александрович** — старший оперуполномоченный ОУР ОВД Первомайского райисполкома г. Тбилиси;

— подполковник милиции **Цамалашвили Роман Михайлович** — заместитель начальника военно-мобилизационного отдела и гражданской обороны МВД ГССР;

— капитан милиции **Нишнианидзе Элгуджа Заалович** — оперуполномоченный ОБХСС ОВД Первомайского райисполкома г. Тбилиси;

— майор милиции **Швелидзе Лаврентий Вахтангович** — начальник Ванского РОВД;

— капитан милиции **Квирикашвили Демури Георгиевич** — старший инженер подразделения ГАИ УВД Тбилгорисполкома.



თბილისის საქარხნო რაიონის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი, კომუნისტი გიორგი ჩხიტუნიძე 1973 წლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში. წელს იგი ამთავრებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტს.

1987 წელს მან პირველი ადგილი დაიკავა თბილისის შს განყოფილებებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

# На оперативном совещании руководящего состава МВД ГССР

**6 июня состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.**

**На совещании с информацией об оперативной обстановке в республике за 5 месяцев и май 1988 года выступил начальник организационно-инспекторского отдела МВД ГССР подполковник милиции К. Буджиашвили.**

**Тов. К. Буджиашвили проинформировал руководящих работников министерства о состоянии служебных командировок в отраслевых службах МВД ГССР, ходе выполнения требований соответствующего приказа МВД СССР и о состоянии исполнения приказов, указаний директивных органов, а также заявлений и писем граждан. Руководству УУР МВД ГССР (начальник — полковник Т. Варданашвили) и УООП МВД ГССР (начальник — полковник внутренней службы Г. Бичашвили) предложено осуществить дополнительные меры, направленные на своевременное предупреждение преступлений против личности и, в первую очередь, умышленных убийств и покушений на них, тяжких телесных повреждений, а также имущественных преступлений.**

**На оперативном совещании были заслушаны отчеты заместителя начальника УООП МВД ГССР подполковника милиции Г. Нацвлишвили, начальника отдела УУР МВД ГССР полковника милиции З. Кикнадзе и начальника Болнисского РОВД подполковника милиции П. Сванидзе о проделанной работе по организации деятельности общественных пунктов охраны порядка.**

# В ПАРТИЙНОМ КОМИТЕТЕ МВД ГССР

**30 мая состоялось очередное заседание партийного комитета МВД ГССР, которое провел заместитель секретаря партийного комитета министерства Б. Шония.**

**На заседании был рассмотрен вопрос о состоянии критики и самокритики в деле перестройки деятельности УООП МВД ГССР и повышении авангардной роли и ответственности коммунистов службы за конечные результаты работы.**

**На заседании был заслушан отчет начальника отдела УУР МВД ГССР майора милиции Д. Джанашия о проделанной работе по борьбе с наркоманией в республике в свете постановления ЦК КПСС от 31 января 1986 года и решения бюро ЦК КП Грузии от 20 февраля 1986 года. Рассмотрены также персональные вопросы коммунистов Г. Арутюнова и И. Кокиашвили.**

**გაიმართა** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვა. ინფორმაციით გამოვიდა სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის მაიორი მ. მოსულიშვილი.

კრებაზე გამოვიდნენ: სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ი. გელაძე, საორგანიზაციო-საინსპექტორო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. ვოლიანსკი, კადრების ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი კ. იონათამიშვილი, უფროსი გამომძიებელი, მილიციის მაიორი უ. იარაჯული, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ხ. ნათელაშვილი, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის პოდპოლკოვნიკი რ. მინასიანი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ა. ლომინაშვილი, პოლიტგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. მორბედაძე, სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი რ. თუშურაშვილი.

კრებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის უფროსი ინსტრუქტორი, მილიციის მაიორი ს. ხარაბაძე.

XIX საკავშირო პარტკონფერენციის შესახვედრად

# კრებაზე ითქვა...

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ დიდი ყურადღებით გაეცნენ პრესაში გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს, რომელიც გახდა საერთო სახალხო განხილვის საგანი.

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციის წინ, თეზისების განხილვისას წინადადებათა ძირითადი აზრი გამოიხატა შემდეგში: საჭიროა გარდაქმნის შეუქცევადობის საიმედო გარანტიები, ამ ისტორიული პროცესის უფრო მეტად გაღრმავება, ამასთან ერთად საჭიროა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმეთა წარმოების გაიოლება, ეკონომიკური რეფორმების დაჩქარება, ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს უნდა მიეცეს მეტი უფლება სტრუქტურისა და კადრების საკითხის გადასაწყვეტად.

კრებაზე ითქვა, რომ ის ათი პოზიცია, რომელიც ასახულია თეზისებში თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს ეხება. ეხება იგი შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებსაც. ითქვა ისიც, რომ დღევანდელი დემოკრატიზაციის პირობებშიც კი ზოგიერთი კომუნისტი ძველებურად გაჩუმებას არჩევს — მთელი წლის მანძილზე ერთხელაც არ გამოდის პარტიულ კრებებზე. ნუთუ მათ არ გააჩნიათ თავიანთი აზრი, შენიშვნები? ნუთუ არაფერი აღელვებთ? კრიტიკა ხომ პირველ რიგში ქვევიდან უნდა მოდიოდეს.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდება, მაგრამ ამ პროცესს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩეს ჩვენი აზროვნება და საქმეები.

კრების მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს თეზისებში ასახულ პოზიციებს, გამოთქვეს თავისი წინადადებები.

კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**გთავაზობთ კრების მონაწილეთა მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნასა და წინადადებას:**

**ი. გელაძე:** სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში აღნიშნულია: საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები დავიცვათ მათ საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევისაგან. მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი მილიციის თანამშრომლებზე. ვფიქრობ კონფერენციამ ესეც უნდა გაითვალისწინოს. კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმობა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. ამიტომ ყველა აღვნიშნავთ ერთ გაუგებრობას — კონფერენციის დელეგატთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან არ არის არც ერთი წარმომადგენელი იუსტიციის, პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

**რ. თუშურაშვილი:** არასწორად დამკვიდრდა გამოთქმა „რიგითი კომუნისტი“. ყველა კომუნისტი თანასწორია სკკპ პროგრამისა და წესდების, საბჭოთა კანონის წინაშე, მათ შორის არ უნდა იყოს არც „რიგითი“ და არც „ხელმძღვანელი“.

**რ. მინასიანი:** ხშირად ხდება, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში ზოგიერთი შტატი არ არის დაკომპლექტებული, ამიტომ შესატყვის მოვალეობას სხვა თანამშრომლები ასრულებენ. ამ თანამშრომლების მატერიალური დაინტერესების ასამაღლებლად მიზანშეწონილია ხელფასის ფონდის შესაბამისი განაწილებაც.

საჭიროა გადაისინჯოს ხელფასზე პროცენტული დანამატის (გარკვეული წლების გასვლის შემდეგ) წესი, ამჟამად იგი თანაბარია როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილ თანამშრომლებისათვის.

ხშირად თანამშრომელთა მუშაობის ხარისხი, რომლებსაც ერთი და იგივე თანამდებობა უკავიათ, დიდად განსხვავდება. ამიტომ შინაგან საქმეთა ორგანოებში მიზანშეწონილი იქნება თუ შემოვიღებთ შრომის მიხედვით ანაზღაურების სისტემას, რომელსაც ადგილზე გადაწყვეტდა ქვედანაყოფის მეთაური, რომელიც იხელმძღვანელებდა თანამშრომლის მიერ მუშაობაში მიღწეული შედეგებით.

**გ. მორბედაძე:** დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების პროცესში საჭიროა ავამაღლოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რათა არ დავუშვათ პრესაში არაკომპეტენტურობა, აჩქარებული და ზოგჯერ კანონსაწინააღმდეგო გამოსვლები შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაზე.

## Советская милиция

**Вышел в свет пятый в нынешнем году номер журнала «Советская милиция». Он открывается материалом «Зажигать сердца людей — наша главная партработа».**

**Под рубрикой «Решения февральского пленума — в жизнь» помещен материал, в котором заместитель министра внутренних дел СССР генерал-лейтенант внутренней службы Ю. Журкин анализирует проблемы идеологического обеспечения перестройки.**

**Политический подход к работе с кадрами — основная тема статьи министра внутренних дел Эстонской ССР генерал-майора внутренней службы М. Тнбара.**

**Под рубрикой «Нетрудовым доходам — надежный заслон» журнал печатает большой материал о сегодняшних проблемах службы вневедомственной охраны. В номере помещен также фоторепортаж о работе сотрудников Гагрского ГОВД по охране правопорядка в городе в условиях начавшегося курортного сезона.**

## СОТРУДНИК — НАРУШИТЕЛЬ ПРАВОПОРЯДКА?!

**Конституционные принципы политической системы нашего государства, его общественного строя — один из важнейших элементов социалистической демократии.**

**В ноябре 1986 года ЦК КПСС приняло Постановление «О дальнейшем укреплении социалистической законности и правопорядка, усилении охраны прав и законных интересов граждан». Как отмечается в постановлении, каждый случай на-**

# Законность прежде всего

**рушения законности, кем бы он ни допускался, должен получить принципиальную оценку.**

**Из практики работы органов милиции должны быть полностью исключены факты необоснованных задержаний и арестов, незаконного привлечения граждан к уголовной ответственности, рукоприкладства.**

**В конце марта в медвытрезвитель Цхинвальского ГОВД был доставлен гражданин Б. Он находился в средней степени опьянения. Судебно-медицинская экспертиза, которая освидетельствовала его на следующий день, пришла к заключению, что в медвытрезвителе ему были нанесены телесные повреждения. По этому факту были приняты самые строгие меры.**

**Ответственный дежурный медвытрезвителя старшина милиции И. Какоев и помощник дежурного сержант милиции Г. Бекоев уволены из органов внутренних дел. Первый—за нанесение гражданину Б. телесных повреждений, второй — за укрытие данного факта и неискренность. Материалы в отношении них переданы в прокуратуру г. Цхинвали. Начальник медвытрезвителя был освобожден от занимаемой должности за необеспечение должного контроля и ослабление дисциплины среди лично-го состава медвытрезвителя, что и привело к нарушению соцзаконности.**

**Да, бывает очень обидно, когда на общем светлом фоне добрых дел вдруг узнаешь о нарушителе в милицейской форме, о том, что кто-то попрал святая святых — социалистическую законность, укрыл от учета преступление, необоснованно отказал в возбуждении уголовного дела, допустил волокиту, проявил элементарную служебную непорядочность...**

**Следователь Знаурского РОВД капитан милиции Л. Качмазов допустил целый ряд нарушений соцзаконности: фальсифицировал протокол допроса свидетеля, не провел очные ставки, следственный эксперимент, не принял никаких мер к тому, чтобы выяснить, были ли соучастники у обвиняемого по делу кражи из магазина. За нарушение соцзаконности он уволен из органов милиции.**

**Из органов внутренних дел уволен и милиционер медвытрезвителя Цхинвальского ГОВД рядовой милиции А. Горгишели. Он нанес ранения из огнестрельного оружия гражданину К. и содействовал укрытию преступления от госучета.**

**Был отстранен от занимаемой должности старший оперуполномоченный уголовного розыска Цхинвальского РОВД майор милиции Т. Тедеев. Он фальсифицировал материалы дознания в отношении гражданина Д. и укрыл от госучета факт ранения рядовым милиции А. Горгишели гражданина К. Материалы в отношении Т. Тедеева переданы в прокуратуру.**

**Всего за четыре месяца текущего года сотрудниками органов внутренних дел области было совершено несколько нарушений соцзаконности. Всем пострадавшим в результате этих нарушений гражданам принесены извинения.**

**Вскрывать недостатки, называть нарушителей социалистической законности, тех, кто своим недостойным поведением позорит звание сотрудника милиции, очищать наши ряды от них — именно так сейчас стоит вопрос. К этому нас призывают постановления ЦК КПСС, указания МВД СССР и МВД ГССР.**

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
**старший лейтенант милиции, инструктор пресс-группы политотдела УВД Юго-Осетии.**

# Образцово выполняя свой долг

## ЛЮДИ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ




Начальнику Сухумского РОВД подполковнику милиции В. Аршба не пришлось долго раздумывать в ответ на мою просьбу назвать несколько фамилий сотрудников, чей передовой опыт мог бы оказаться полезным для читателей нашей газеты. Таких людей в райотделе немало. Но первым в этом почетном списке был госавтоинспектор старший лейтенант милиции Гигла Гвинджилия. И это, конечно, не случайно.

17 лет прошло с тех пор, как отличник боевой и политической подготовки Г. Гвинджилия, завершив службу в армии, приступил к работе в органах внутренних дел автономной республики.

Добрым напутствием Г. Гвинджилия в его будущей нелегкой работе стража порядка стали слова из благодарственного письма, направленного командованием части, в которой он служил, его родителям: «...верим, что он и в дальнейшем будет примером для всех в деле исполнения гражданского долга». Всей своей повседневной деятельностью по поддержанию порядка на автотрассах Сухумского района Гигла Гвинджилия оправдывает эти, исполненные высокого доверия, слова.

...Во время дежурства Г. Гвинджилия на дороге в Земо-Эшера водитель «Жигулей» грубо нарушил правила дорожного движения. После непродолжительного преследования автомашина резко затормозила перед мотоциклом автоинспектора. Документов у водителя не оказалось, однако, вел он себя крайне вызывающе. Стоило Г. Гвинджилия на мгновение отвлечься для составления акта, как в руках у нарушителя блеснул пистолет. Все решали секунды. Вот когда пригодились офицеру милиции его навыки самбиста - перворазрядника. Преступник был обезоружен и доставлен в отделение милиции. За мужество и мастерство, проявленные в этой чрезвычайной ситуации, Г. Гвинджилия был награжден нагрудным знаком «Отличник советской милиции». Признанья заслуги автоинспектора и в деле пресечения незаконного вывоза из автономной республики крупных партий цитрусовых. Здесь не помогали нечистым на руку дельцам их угрозы в адрес «неудобного» сотрудника милиции, ни посулы крупных денежных сумм за сокрытие их преступной деятельности.

...Сегодня фото старшего лейтенанта Гиглы Гвинджилия — на доске Почета МВД Абхазской АССР. Труд его отмечен благодарностями министра внутренних дел Абхазии. Об активном участии автоинспектора в общественно-политической жизни своего коллектива и автономной республики свидетельствуют многочисленные грамоты и благодарности от различных общественных организаций.

Правду говорят — в милиции работают отважные. Гигла Гвинджилия из их числа.

**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**
(Фото автора).



# იცნობდეთ, მოწინავე მუშაკია

1970 წელს დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში შამილ გიორგის ძე ხაჩიურმა, 1978 წლიდან კი იგი სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის მუშაკის რთულ და საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებს. ამჟამად მილიციის კაპიტანი შ. ხაჩიური გორის შს საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებულია.

მან მალე მოიპოვა ენერგიული, დაკვირვებული და გაბედული მუშაკის სახელი. შეიძლება ითქვას, რომ მას სრულყოფილად აქვს ათვისებული სამძებრო სამსახურის ფორმები და მეთოდები. მისი უშუალო მონაწილეობით მრავალი სისხლის სამართლის საქმეა გახსნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მდგომარეობა გზებზე საგანგაშოა

მიმდინარე წლის მაისში რესპუბლიკის გზებსა და ქუჩებში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათში. დაღუპულთა რიცხვი, რომელიც 1987 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25 ადამიანით გაიზარდა.

ამასთან ერთად, ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქებში: რუსთავი, სოხუმი, გაგრა; ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, მესტიის, ონის რაიონებში, ამასთანავე გზებზე, რომელსაც ემსახურება გორისა და გურჯაანის სახავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო სამსახურის ქვედანაყოფი, დაშვებულია ავარიულობის მაჩვენებლების მატება.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა: ცხაკაიას, მარნეულის, მახარაძის, ამბროლაურის, კასპის, საგარეჯოს, ზუგდიდის და გორის რაიონულ და საქალაქო შს განყოფილებებში.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია: ლაგოდეხის, ხობის, ყვარელის შს რაიგანყოფილებების თბილისის შს სამმართველოს და წყალტუბოს შს საქალაქო განყოფილების ტერიტორიაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში დაღუპულთა რიცხვის ზრდა. მარტო ლაგოდეხის რაიონში ექვსი კაცი დაიღუპა, ე. ი. ეს მაჩვენებელი 300 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე წელს შესამჩნევად გაიზარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა. 20 პროცენტით გაიზარდა იმ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი, სადაც დაიღუპა ორ-ორი მოქალაქე, 180 პროცენტით, სადაც გარდაიცვალა სამ-სამი და 100 პროცენტით — 4 და 5 ადამიანი. მათმა საერთო რიცხვმა უკვე 33 შეადგინა, დაიღუპა 78 ადამიანი და დაშავდა 34. ეს 7 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით და 20 დაღუპულით მეტია 1987 წლის ამ პერიოდთან შედარებით. (+59 და 34 პროცენტი).

სახავტოინსპექციის სამმართველოს მიერ აპრილ-მაისში გატარებული პროფილაქტიკური ზომების მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სსრ გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფას, საქალაქო და რაიონულ შს განყოფილებებისათვის პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას, მდგომარეობა კვლავ შემაშფოთებელია და მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების შს განყოფილებების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს.

მიმდინარე წლის აპრილ-მაისში შს სამინისტროს და სახავტოინსპექციის ხელმძღვანელობამ არაერთხელ შეახსენა ზემოთხსენებული რეგიონების ხელმძღვანელებს ყურადღება მიექციათ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდის სერიოზულ მდგომარეობისათვის.

საქართველოს შს სამინისტროს სახავტოინსპექციამ საზოგადოების ფართო მასების ჩართვით მოაწყო მრავალი პროფილაქტიკური, სარეიდო ღონისძიებანი. ჩატარებულმა ღონისძიებებმა დაადასტურა, რომ ზემოთჩამოთვლილი შს საქალაქო და რაიონული განყოფილებები, სახავტოინსპექცია და საგზაო-საპატრულო სამსახური სათანადო დონეზე ვერ აწარმოებდნენ მუშაობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდის წინააღმდეგ. არასაკმარისად ტარდება სახაზო კონტროლები ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში თუ მოსახლეობაში, ერთეული როდია შემთხვევა, როცა სახავტოინსპექციის თანამშრომელი არასამსახურებრივი მოვალეობით იყო დასაქმებული, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს გზაზე მოძრაობის მეთვალყურეობა ჰქონდა მინდობილი.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით 28 მაისს, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, შინაგანი სამსახურის გენერალმაიორ ვ. შადურის ხელმძღვანელობით გაიმართა ოპერატიული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ზემოთდასახელებული საქალაქო და რაიონული შს განყოფილებების უფროსები, ავტოინსპექციის აპარატის ხელმძღვანელები. თათბირზე პრინციპულად განიხილეს რესპუბლიკის გზებზე მდგომარეობის გართულების მიზეზები. სამინისტროს ხელმძღვანელობის მითითების მიუხედავად მთელი რიგი განყოფილებების უფროსებმა კვლავაც საჭიროდ არ ჩათვალეს თათბირზე გამოცხადება. ამან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მათი გულგრილობა ავტოინსპექციისა და საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაობის მიმართ. ამ მხრივ თავი „გამოიჩინეს“ სოხუმის, გაგრის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, წულუკიძისა და მესტიის შს განყოფილებათა უფროსებმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება მათი დისციპლინარული სასჯელით დასჯის თაობაზე, დაისჯებიან აღნიშნული განყოფილებების ავტოინსპექციის ხელმძღვანელებიც.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა განვახორციელოთ გადაუდებელი სამსახურებრივი და პროფილაქტიკური ღონისძიებები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის ძირეულად გარდაქმნის საქმეში და მივაღწიოთ პოზიტიურ მაჩვენებლებს.

გ. ცინცაძე,
რესპუბლიკის სახავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.

რედაქციისაგან: ვფიქრობთ, რესპუბლიკის გზებზე შექმნილი დღევანდელი მდგომარეობა სახავტოინსპექციის სამმართველოს ხელმძღვანელობის უფრო კრიტიკულ და თვითკრიტიკულ მიდგომას, ქმედით ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. რედაქცია კვლავ დაუბრუნდება ამ საჭირბოროტო საკითხს და რეგულარულად გააშუქებს იმ ღონისძიებებს, რომელთაც სახავტოინსპექციის სამმართველო არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაატარებს.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 31 мая в поезде Тбилиси — Сочи задержан Н. К., без определенного места жительства и рода занятий, который совершил кражу 200 крон у гражданина ЧССР туриста К. Г. Краденое изъято.

◆ 3 июня в Автозаводской РОВД г. Кутаиси обратился рабочий Кутаисского автозавода Г. Г. с заявлением о том, что в ночное время неустановленный преступник со двора его дома угнал принадлежащую ему автомашину ВАЗ-2103. Принятыми мерами по «горячим следам» угонщик установлен. Им оказался Э. А., дважды судимый, неработающий, который скрывается. Указанная автомашина обнаружена на территории г. Кутаиси и возвращена владельцу в сохранности.

◆ 3 июня сотрудниками Заводского РОВД г. Тбилиси уличены домохозяйки Л. З. и Л. М., у которых изъяты промтовары импортного производства 51 наименования на сумму 1490 рублей, закупленные ими в г. Москве с целью перепродажи.

◆ 7 июня сотрудниками ЛОВД ст. Самтредиа в поезде Киев — Тбилиси задержаны неработающий С. И. и колхозник, житель станицы Переяславская Краснодарского края В. К., у которых изъято 764 гр. гашиша и 4,75 гр. опия.

1988 — არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირების წელი!

# ურმის გადაბრუნებამდე

სინანულს, პირველ რიგში კი სამართლიან შეშფოთებას იწვევს მოზარდის მიერ ჩადენილი ყოველგვარი დანაშაული და სამართალდარღვევა.

მომხდარი ფაქტების გაანალიზებამ და შესწავლამ გვიჩვენა რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა უზედამხედველობით არის გამოწვეული. ასე, მაგალითად, ლანჩხუთის № 1 საშუალო სკოლის მე-9 კლასისა და № 48 საშუალო სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეების ლევან და ვახტანგ ვლადიმერის ძე ჯიბლაძეების მშობლები ახალგაზრდები არიან. მიუხედავად ამისა, ისინი ვერ აწესებენ საჭირო კონტროლს შვილების აღზრდაზე, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ლევანი და ვახტანგი ხშირად არასაპატიო მიზეზით აცდენენ მეცადინეობას, გაკვეთილების მსვლელობის პერიოდში უსაქმოდ ხეტიალობენ სხვადასხვა ქალაქებში, არღვევენ მოსწავლეთა ქცევის წესებს.

ნიგოითის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ლერი ლევანის ძე ფირცხალაიშვილთან სკოლა და ჩვენ ვატარებთ თანამიმდევრულ პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს, შედეგი კი არასახარბიელო გვაქვს. მიმდინარე წლის აპრილში ლერიმ, რომელიც უზედამხედველოდ იმყოფებოდა, გვიან, ღამის საათებში სოფელ ნიგოითში რკინიგზის ლიანდაგზე დადო სამუხრუჭე სოლი, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა მატარებლის მოძრაობას. ლერის „ცელქობას“ მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით არ მოჰყოლია მძიმე შედეგი.

ლანჩხუთის № 2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე მალხაზ მამიას ძე თევზაძეს მილიციის მუშაკები გვიან ღამით ნახვამს წააწყდნენ. მალხაზისთვის მშობლები არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენენ — ფაქტიურად იგი უზედამხედველოა.

საჭიროა ყველამ — სკოლამ, ოჯახმა და ჩვენ — მილიციის შესაბამისმა სამსახურმა დროულად, ურმის გადაბრუნებამდე მოვნახოთ მომავალი თაობის აღზრდის სწორი გზა.

ლ. ლომაძე,
ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ინსპექტორი არასრულწლოვანთა ხაზით, მილიციის კაპიტანი.



1978 წლიდან მუშაობენ ერთად მილიციის კაპიტანი თ. კოჭლამაზაშვილი და მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. აივაზოვი. თ. კოჭლამაზაშვილი შს ორგანოებში 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოვიდა.

კომუნისტი ჩეკისტი თელავის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს საუკეთესო თანამშრომლად არის აღიარებული.

როდესაც ვ. აივაზოვი ერთ-ერთი ყველაზე რთული უბნის ინსპექტორად დანიშნეს, ცოტა არ იყოს ყველას ეჭვი ეპარებოდა შესძლებდა თუ არა ახალგაზრდა თანამშრომელი სასურველი გარდატეხის შეტანას თავის საქმიანობაში... ახლა კი მისი უბანი ერთ-ერთი საუკეთესოა თელავის რაიონში.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

ВМЕСТО ФЕЛЬЕТОНА

# Рекорд «изобретательности»

**ПОСТАВЛЕННЫЙ ЛЮБИТЕЛЯМИ ЛЕГКОЙ НАЖИВЫ ЗАФИКСИРОВАЛИ НЕДАВНО СОТРУДНИКИ РАЙОТДЕЛА МИЛИЦИИ И УВД ТБИЛГОРИСПОЛКОМА НА ОДНОМ ИЗ ПРЕДПРИЯТИЙ КАСПСКОГО РАЙОНА.**

Все мы бесконечно благодарны нашей пищевой промышленности, которая, хотя и не без некоторой внутренней борьбы, поступилась-таки частью своих прибылей, ради здоровья соотечественников, переведя ряд производственных мощностей с изготовления многоградусной продукции на обеспечение населения лимонадом, «Тархуном», яблочным соком и иными безалкогольными деликатесами. И поэтому, если бы несколько месяцев назад меня спросили, может ли предприятие по производству безалкогольных напитков служить источником повышенной алкоголизации окрестных городов и весей, я бы счел это неуместной в наше время шуткой. Однако теперь отвечу без колебаний: да, может!

Не скажу за всю необъятную страну, но в нашей республике инициаторы столь важного для истинных поклонников зеленого змия дела, как обратное перепрофилирование безалкогольных производств, наконец, явились! Ими стали отдельные работники Квемочальского завода по производству безалкогольных полуфабрикатов Госагропрома ГССР в тесном идейно-технологическом содружестве с отдельными водителями Тбилисского АТП Госагропромтранса ГССР.

Водители, как водится, доставляли автоцистерны, наполненные спиртом, со ст. Каспи на завод, а работники завода, как водится, к сожалению, не реже, не замечали, что шофера уводят свои автомашины из гостеприимно распахнутых заводских ворот, отнюдь не до конца опорожненными...

Вот где работники ряда производственных звеньев Агропрома, наконец, доказали свое единство, наглядно продемонстрировав, что ведомственные барьеры сокрушены у нас не на словах, а на деле. Все производство перепрофилировать им, правда, не удалось, однако достигнутое достойно всяческого удивления.

Когда, порой, наше телевидение показывает на своем голубом экране съежившиеся под лучами юпитеров фигурки рядовых «несунов», трясущимися руками вытаскивающих из-под складок одежды грелки и иные емкости со спиртом и водкой, становится мучительно «стыдно» за их мелочность, неумение мыслить и действовать по-настоящему масштабно. Как? А как это делалось в Каспском районе. За один (!) рейс водители Квилидзе, Морбедадзе и Суладзе вывезли из Квемочальского завода почти 1,5 тыс. литров «сэкономленного» спирта стоимостью 61275 руб. Для справки скажем, что, по данным МВД СССР, по всей стране, на более чем 1100 вино-водочных и гидролизных предприятиях за прошедший год было похищено 40 тонн спиртного.

Спирт, как известно, жидкость. А если автоцистерну, спирт перевозящую, несколько переоборудовать изнутри, дабы при необходимости эта жидкость выливалась не вся, получается то самое «сэкономленное» сырье, которое затем сбывается...

Вот так это делается. Правда, делать это с успехом можно лишь при наличии ряда существенных условий. Во-первых, необходимы ответственные лица на автотранспортном предприятии, ни сном ни духом не ведающие, что за техника, за данным предприятием числящаяся, ходит по дорогам республики, — то ли банальные автоцистерны, то ли нечто настолько технически совершенное, что по экономии горючих жидкостей на 100 км. пробега оставляет далеко позади последние новинки японских автомобилестроителей...

Во-вторых, необходимы не менее ответственные лица на безалкогольном предприятии, подсчитывающие количество полученного сырья с точностью типа «пару тонн туда-сюда». И руководители, закрывающие на это глаза. И, наконец, просто необходима заводская парторганизация, настолько законспирировавшая свою работу с кадрами, что о ее существовании руководству республики приходится интересоваться с высокой трибуны партийного форума.

Хорошо хоть, что о существовании районной милиции не пришлось интересоваться в МВД республики. Она оказалась на месте и совместно с сотрудниками УВД Тбилгорисполкома пресекла преступный бизнес «рационализаторов» безалкогольного производства. Преступление раскрыто, но проблемы, выявленные следствием, остались. Не все они разрешаются легко, но решать их надо. Если, конечно, мы хотим, чтобы спирт использовался для производства лимонада, а не производство лимонада — для прикрытия торговли спиртом.

А. ПОДОПРИГОРА.

## ალვზარდოთ ახალი თანამშრომელი



# კადრების მომზადება, საერთო საზრუნავია

**ღამის** 03 საათი იქნებოდა. რაიონის არასაუწყებო დაცვის სამორიგეოში სიგნალიზაცია ამუშავდა.რაიონის გეგმაზე მოციმციმე ნათურა ობიექტს ანიშნებდა ოპერატიული ჯგუფი შემთხვევის ადგილზე გაემართა...

ცნობილი გახდა საბურავების კვალი, თითის ანაბეჭდები და ავტომანქანის მიახლოებითი ფერი. მანქანის პირობითი მონაცემები საი-ს ყველა სამორიგეო და სახაზო ნაწილებს გადაეცა. არ გაივლის ერთი საათიც და ავტომანქანის დაკავების დროს ბანდიტის მიერ მოქნეული დანით სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცემა ავტოინსპექტორი. დანაშაულს დანაშაული ემატებოდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება, დადგინდა ავტომანქანის მარკა, სახელმწიფო ნომერი და რაც მთავარია, მფლობელის ვინაობა, იგი ადრე ორჯერ ნასამართლევი, გამოუსწორებელი რეციდივისტი ვ. გ. აღმოჩნდა, თუ ვინ იყო მისი „ამფსონი“ ჯერჯერობით დაუდგენელი რჩებოდა. ბანდიტებმა ავტომანქანა ქალაქის ერთ-ერთ სადგომზე მიაგდეს, თვითონ კი კონსპირაციის მიზნით გაიყარნენ

შეხვედრა მეორე დღეს ქალაქის ერთ-ერთ კაფეში უნდა შემდგარიყო, მაგრამ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული მონაცემებით ზუსტად იხელმძღვანელეს და შეიარაღებული ბანდიტების თარეშს წერტილი დაუსვეს.

დაახლოებით ასეთი სცენარით მოეწყო ოპერატიულ-ტაქტიკური მეცადინეობის შემაჯამებელი დათვალიერება-ჩვენება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში.

— სასწავლო ცენტრი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-ლეიტენანტ ვ. ჯანჯღავას სახელს ატარებს 40 წელია არსებობს, — გვეუბნება საქართველოს სსრ შ. ს. სამინისტროს სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი ვ. მესხიშვილი. — სპეციფიკის მიხედვით სასწავლო ცენტრში შინაგან საქმეთა ყველა სამსახურის თანამშრომელი გადის მომზადებას. უახლესი გამოთვლითი და რადიომართვის აპარატურა, ვიდეო და აუდიო ტექნიკა, რომლითაც აღჭურვილია კაბინეტები, აგრეთვე პედაგოგთა მომზადების მაღალი დონე არის საწყისი და საფუძველი იმისა, რომ ჩვენი სასწავლო ცენტრის კედლებში სრულფასოვანი, კეთილსინდისიერი და მაღალი პროფესიული დონის მქონე ახალგაზრდა თანამშრომლები აღიზარდონ. დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი სამსახურის ხელმძღვანელობა მხოლოდ ვაკანტური ადგილების შესავსებად იღებს სამუშაოდ ისეთ ახალგაზრდებს, რომელთა იდეოლოგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური მომზადების დონე შს ორგანოების დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ზემოთჩამოთვლილი პარამეტრების შეუსაბამობის გამო ცენტრიდან სასწავლო წლის დასაწყისშივე არაერთი მსმენელი გაირიცხა, ალბათ ეს ფაქტი ბევრი ხელმძღვანელისთვის დასაფიქრებელია.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, იგი ჩვენთან ეტაპობრივი ხასიათისაა, პირველ ეტაპზე მსმენელები გადიან ზოგადი მომზადების კურსს, რომელიც სინთეზურადაა შერწყმული ამა თუ იმ სამსახურის სპეციფიკურ მოთხოვნებთან.

სასწავლო ცენტრის პედაგოგები, რომელთაც ორგანოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, ცოდნასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ჩვენი მილიცია სანიმუშოების ათვლის წერტილად იქცეს. ოპერატიულ-ტაქტიკური მეცადინეობის კურსის ასეთი შემაჯამებელი შემოწმება, შეიძლება ითქვას, სწავლების ერთ-ერთი უახლესი მეთოდია, რომელიც სასწავლო ცენტრის პედაგოგიური საბჭოსა და ხელმძღვანელობის საერთო შემუშავებული „სცენარის“ მიხედვით ჩატარდა. ჩვენი მიზანი იყო, რომ რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციაში მსმენელებს პრაქტიკულად ხორცი შეესხათ თეორიული ცოდნისათვის.

იმედი გვაქვს, რომ ეს წამოწყება მეთოდურ გამართლებას ჰპოვებს თანამშრომელთა პრაქტიკულ საქმეში.

ეს „სპექტაკლი“ იყო პედაგოგთა და მსმენელთა დაძაბული და მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგი. მეცადინეობის ორგანიზატორებმა, უფროსმა მასწავლებელმა, მილიციის კაპიტანმა ვ. კუტიევმა (სწორედ მისი ინიციატივა იყო სიახლის დანერგვა), მასწავლებლებმა: მილიციის მაიორებმა ვ. ხითარიშვილმა, დ. გომარელმა და ი. ქუნთელიამ ოპერატიულ-ტაქტიკური მეცადინეობის ყველა მონაწილეს, რომლებიც ამ დღეებში ბოლო გამოცდებს აბარებენ უსურვეს წარმატებები სწავლში და პრაქტიკულ საქმიანობაში.

**ხ. ალავიძე.**

• • •

**სურათზე:** მიმდინარეობს ოპერატიულ-ტექნიკური მეცადინეობა.

## СПОРТ СПОРТ СПОРТ СПОРТ

# НА ПУТИ К ФИНАЛУ



4 июня на тбилисском стадионе «Динамо» им. В. И. Ленина состоялось торжественное открытие турнира по мини-футболу, проводящегося в рамках Спартакиады коллективов служб центрального аппарата МВД ГССР.

С напутственным словом к участникам турнира обратились заместитель министра внутренних дел республики полковник внутренней службы Э. Васильев и начальник отдела физподготовки и спорта МВД ГССР старший лейтенант внутренней службы И. Барский. Затем состоялись показательные выступления спортсменов из Центра рукопашного боя и самозащиты без оружия (начальник— старший лейтенант милиции В. Эроносян), а завершилась красочная церемония открытия парадом участников турнира.

По итогам двух дней соревнований определились пары полуфиналистов — команды подразделения ветеринарной службы и отдела охраны совпарторганов, Учебного центра министерства и УВО МВД ГССР. Полуфинальные матчи пройдут 11 июня.

Несмотря на в целом, хороший организационный уровень соревнований, следует отметить и ряд недоработок. Так, в частности, на футбольных полях были установлены ворота различной величины. Это ставило команды в неравные условия и, думается, это следует учесть при организации будущих соревнований.

* * *

**НА СНИМКАХ:** на открытии турнира; парад участников соревнований.



# Физической подготовке — должное внимание

Постоянное повышение роли физподготовки и спорта имеет большое значение в деле совершенствования профессионального мастерства сотрудников органов внутренних дел.

Согласно приказу МВД СССР от 29 июля 1986 г., сотрудники органов внутренних дел обязаны принимать участие в занятиях по физической подготовке. По вторникам и пятницам на стадионе «Динамо» им. В. И. Ленина проводятся занятия для сотрудников центрального аппарата МВД ГССР. К сожалению, надо отметить, что на сегодняшний день максимальное количество присутствующих на занятиях сотрудников в течение апреля-мая месяца с. г. составляло 105 человек, а такие службы министерства как УБХСС, фельдсвязь, оргинспекторский отдел не были представлены на занятиях ни одним сотрудником.

Понятен дефицит времени у сотрудников центрального аппарата, однако нельзя забывать, что пренебрежительное отношение к собственному здоровью оборачивается в конечном итоге и серьезными упущениями в служебной деятельности конкретного сотрудника.

Руководителям вышеперечисленных служб стоит пересмотреть свой подход к развитию физической подготовки и спорта среди сотрудников — ведь многим из нас памятны случаи, когда именно недостаточное физическое развитие сотрудника ОВД препятствовало ему в качественном выполнении служебного долга, а иногда дело оборачивалось трагедией.

По-иному подошли к этому вопросу службы УИТУ, УООП, ФПО, ВМО, ЭКО, отдел связи, сотрудники которых регулярно присутствуют на занятиях по физической подготовке.

В заключение хочется сказать, что отдел физподготовки и спорта МВД ГССР совместно с редакцией газеты «Боевой страж» намерен регулярно освещать ход проводимых спортивных занятий и сдачу нормативных требований сотрудниками отдельных служб ЦА МВД ГССР, осуществлять постоянный контроль над посещаемостью и качеством их проведения.

**Ф. ПОРТНОВ,**
старший лейтенант внутренней службы, инспектор-методист отдела физподготовки и спорта органов внутренних дел Грузсовета «Динамо».

# ПОДАРОК—ДЕТЯМ

Одним из учредителей созданного в прошлом году Советского детского фонда имени В. И. Ленина, как известно, выступило Министерство внутренних дел СССР. Фонд призван объединить усилия трудовых коллективов, общественных организаций, отдельных граждан в оказании помощи детям-сиротам, детям-инвалидам, многодетным семьям.

Личный состав органов внутренних дел Юго-Осетии одобрил и поддержал этот высокогуманный акт. Был разработан комплексный план мероприятий для выполнения Постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР «О мерах по коренному улучшению воспитания, обучения и материального обеспечения детей-сирот и детей, оставшихся без попечения родителей». Сотрудники милиции области поддержали инициативу коллективов Севастопольского РУВД г. Москвы и Горьковской высшей школы МВД СССР о перечислении в Советский детский фонд имени В. И. Ленина к Международному дню защиты детей заработной платы одного рабочего дня. На счет № 707, а это счет детского фонда, работники органов внутренних дел Юго-Осетии уже перечислили 1.900 рублей.

Регулярно сотрудники милиции бывают в детских домах, школах-интернатах области. Недавно гостями учащихся Джавской школы-интерната были начальник Джавского РОВД майор милиции В. Букулов, участковый инспектор по делам несовершеннолетних капитан милиции М. Гатикоева, начальник паспортного стола, секретарь партийной организации райотдела капитан милиции П. Цховребов. От имени сотрудников райотдела они передали детям подарок — телевизор, затем ответили на вопросы ребят. На встрече присутствовали также представители райкома партии, РОНО. В заключение встречи силами коллектива художественной самодеятельности школы-интерната был проведен концерт.

**Т. АЛАНОВ.**

## კალეიდოსკოპი

### რვა წლის ძებნის შემდეგ

ვაშინგტონი. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა ვაშინგტონის ვუდბრიჯის (ვირჯინიის შტატი) გარეუბანში დააპატიმრეს სიცილიის მაფიის წევრი სალვატორო ინცერილიო. ინტერპოლი და იტალიის პოლიცია მას უკვე რვა წელია ეძებენ სიცილიის ქალაქ პალერმოში მოსამართლის გაეტანო კოსტას მკვლელობის ბრალდების გამო. ბოროტმოქმედება მოხდა 1980 წლის აგვისტოში, იტალიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მაფიის მიერ ნარკოტიკების უკანონო კონტრაბანდის საქმის გამო, რომლის გამოძიებასაც კოსტა აწარმოებდა. გამოძიების ფედერალური ბიურო ინცერილიოს წააწყდა ნარკოტიკული ბიზნესის ადგილობრივ „მეფეთა“ საქმიანობის გამოძიების დროს, რომლებმაც „საყრდენ ბაზებად“ გამოიყენეს პატარა იტალიური პიცერიები, რომელთაგან ერთ-ერთის მფლობელი იყო ინცერილიო. როგორც იუწყებიან, იგი იყო სიცილიის მაფიის ერთ-ერთი წამყვანი კლანის სპატოლა-ინცერილიოს წევრი, რომელსაც უკვე მრავალი წელია ნარკოტიკები შეაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან ინცერილიოს გაგზავნისა და იტალიის პოლიციისათვის მისი გადაცემის პროცედურა.

## ВНИМАНИЮ ЧИТАТЕЛЕЙ!

В редакцию газеты МВД ГССР «Боевой страж» в последнее время неоднократно обращаются читатели с жалобами на то, что газета поступает к подписчикам нерегулярно. В связи с этим редакция просит читателей обращаться по данному вопросу в районные отделения «Союзпечати», где производилась подписка.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოპალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 00257